№ 138

პარასკევი, 2 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| [illegible] | 10 — | 6 | 6 — |
| [illegible] | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 138

პარასკევი, 2 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კვირას, 4 ივლისს, ქუთაისში ყოვლად ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში (არქიელის გორაზე) გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**მთავარ-დიაკვნის იოსებ პ. შარაბიძის**

სულის მოსახსენებლად.

ქვრივი მეუღლე მისი შვილებითურთ სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად.

(1— —1)

კვირას, 4 მკათათვეს, საღამოს რვა საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია

**საგანგებო საზოგადო კრება**

ქართველთა სესხ-მიცემო ამხანაგობის

**„შუამავალისა".**

ეს კრება გაგრძელებაა ოცს თიბათვეს შემდგარ კრებისა და ამისათვის იგი კანონიერი იქმნება, რამდენიც უნდა დაესწრას მას წილის პატრონი.

წევრთ ამხანაგობისა არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(6—6.—2)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ახალი ამბავი

⁂ აბასთუმნიდგან „კავკაზს" დეპეშით ატყობინებენ: „30 ივნისი. მთელი აბასთუმანი ჰგლოვობს მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავარის გიორგი ალექსანდრის ძის გარდაცვალებას. აბასთუმანში მოვიდნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. გ. ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი დ. ს. ს. სანდრიგაილო, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენ.-მაიორი ბელიავსკი, ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე თავ. მ. ა. კურაკინი, მისი უდიდებულესობის კარის ეგერ-მეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი და ბორჯომის გარნიზონის უფროსი. მთელიან საქართველოს ეგზარხოსს და მრავალ დეპუტაციას. აუარებელი ხალხი იკრიბება.

⁂ ამ ჟამად სიონის ტაძარში ყოველ დღე დილა საღამოობით პანაშვიდს იხდიან მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად. დასაფლავებამდევე პანაშვიდებს გარდაიხდიან ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში ყოველ დღე დილის 11 საათზედ და საღამოს 7 საათზედ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი 29 ივნისს, საღამოს, კისლოვოდსკიდგან მცხეთაში ჩამოვიდა, საიდგანაც საგანგებო მატარებლით აბასთუმანს წავიდა.

⁂ როგორც „Сынъ От."-ა იუწყება, წელს მთავრობა ხელ-ახლა განიხილავს იმ საგანს, დაარსებულ იქმნას თუ არა კავკასიაში უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის ზოგიერთ დიდ სოფლებს შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ამ სოფლებში შემოღებულ იქმნას მარტივი საქალაქო თვით-მმართველობა. ამ შუამდგომლობებს მთავრობა ამა მიმდინარე წლის შემოდგომაზედ განიხილავს თურმე.

⁂ ქუთათური ვაჭრები ე. ი. საეტი და ი. ფ. გასფელდი, პორუჩ. რაფალოვიჩი, საპატ. მოქ. ლ. ი. პერელმანი და ოდესელი ვაჭარი ს. დ. გალპერინი აარსებენ საზოგადოებას სახელწოდებით: „ფოთი-ჭიათურის შავი ქვის და ლითონის მწარმოებელი საზოგადოება". ამ საზოგადოების საგნად ექმნება შორაპნის მაზრის შავი ქვის მადნების დამუშავება, აგრეთვე სამეტალურგიო და სამთო ქარხნების გამართვა და სამთო საქარხნო მრეწველობის ნაწარმოებით ვაჭრობა რუსეთსა და საზღვარ გარეთ. საზოგადოების ძირის თანხა უდრის 3,000,000 მან., რომელიც დანაწილებულია 12,000 პაიად.

⁂ კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ მოსთხოვა სათანადო დაწესებულებათ ცნობები იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რამდენი ფული დასჭირდება ახალ სასოფლო-სამინისტრო სკოლების აშენებას, რა ადგილებში არის განზრახული სკოლების დაარსება, რამდენ მოსწავლეთა მიღება შეიძლება ახალ სკოლებში, იღებენ თუ არა სასოფლო საზოგადოებანი რაიმე მონაწილეობას სკოლების აშენებასა და შენახვაში.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა მოხელემ შჩერბაჩევმა ყველაზედ უფრო მოსახერხებლად სცნო თამბაქოს ყანის გაშენება ქ. ოზურგეთის მახლობლად.

## ფელეტონი

### პასუხად ბ-ნს ივ. გომართელს

„Бѣда коль пироги начнетъ печь сапожникъ, а сапоги точать пирожникъ".

კრილოვი

(დასასრული *)

ერთის იგავ-არაკის გარჩევის დროს ჩვენ მოვიყვანეთ შინაარსი იგავ-არაკისა და შემდეგ დავსძინეთ: „ისეთის იგავ-არაკების კითხვით, რომლის მოთხედი გაუგებარია პატარებისათვის, რადგანაც ბავშვები ჯეროვნად ვერ ახსნიან წაკითხულს, ადვილად შესაძლებელია, რომ რომელიმე გაქნილი და ვერაგი მოქმედი, გმირი იგავ-არაკისა სამაგალითოდ და მისაბაძად იქმნას პატარა მკითხველის მიერ აღიარებული" („ივერია" № 161, 1898 წ.). ამის გამო ბ-ნი გომართელი სწერს: „იგავ-არაკი სატირაა და არა ადამიანის ღირსებათა დითირამბიო". მერე რაო? განა არ შეიძლება ბავშვმა თანაგრძნობა გამოიჩინოს იგავ-არაკის რომელისამე გმირის მიმართ, იმ ბავშვმა, რომელიც არა თუ მარტო სულიერს—უსულო საგნებს—ქვებს და ყვავილებსაც კი თანაუგრძნობს. ამიტომ იგავ-არაკი, კრილოვის იქნება თუ ლაფონტენისა, არჩევით უნდა მიაწოდონ პატარა მკითხველებს და არა განურჩევლად. ასე იქცევიან ყველა პირველ-დასაწყის სახელმძღვანელოს და ქრისტომატიის შემდგენლებიც. ბ-ნი გომართელი-კი გვწამებს, ვითომ ჩვენ ყველა იგავ-არაკების მტერი ვიყოთ. საიდამ სადაო! თუ ბავშვს იგავ-არაკში არა ესმის რა და ან ცოტა ესმის, იმას თავისთავად წასაკითხად არც ერთი გონიერი აღმზრდელი არ მისცემს; რადგანაც ამისთანა მასალა, სხვათა შორის, დააჩვევს ბავშვს შეუგნებელად კითხვასაც.

სხვათა შორის „ჯეჯილის" მეექვსე ნომერში ჩვენ დავიწუნეთ ერთი მოთხრობა: „რა გვიყო ჭიაკოკონამ". ბ-ნი გომართელი სცდილობს გაგვამტყუნოს, დაანახვოს მკითხველებს ღირსება ამ მოთხრობისა. ამისათვის მოთხრობიდგან გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: „მიუხედავად მრავალის დაბრკოლებისა ბავშვებმა თავის მიზანს მიაღწიეს". შემდეგ განაგრძობს: „ამგვარი მაგალითებით შეგიძლიან ჩააგონოთ ბავშვს, რომ ის დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს ხოლმე, ხოლო მიზანი კეთილი უნდა იქონიოს (როგორც ჭიაკოკონის ანთება, არა!) და მისკენ მიისწრაფოდეს". ეხლა მოვიგონოთ, თუ როგორ თავდება მოთხრობა „რა გვიყო ჭიაკოკონამ"; „ბევრს ვეცადეთ თავის დაღწევას, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ და ორივეს მანამდე გვირტყეს, სანამ თქვენ მოგვეშველებოდით, ჩემო პატარა მკითხველებო" („ჯეჯილი" № 6, 1898 წ.). ახირებული დასკვნაა,—ბავშვებმა მართალია „მიზანს" მიაღწიეს, მაგრამ ხანგრძლივი ცემა-ტყეპაც დაიმსახურეს; განა ეს ცემა-ტყეპა იმას არ ეუბნება პატარა მკითხველებს, რომ თუ შენსას არ დაიშლი, ცემა არ აგცდებაო. განა ეს ჩააგონებს ბავშვს დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეო, თუ უფრო დააფრთხობს და მოუკლავს თვით-მოქმედების ძალას.

მოთხრობების გარჩევის დროს („ივერია" № 161) ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „უმთავრესი პირობა საბავშვო მოთხრობისა, როგორც ხელოვნურის პოეტიურის ნაწარმოებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს, კარგი დახასიათებანი ისევე საჭიროა საბავშვო მოთხრობისათვის, როგორც ხმები სამუსიკო პიესისათვის, როგორც უკანასკნელი შეუძლებელია იქ, სადაც არ არის სუფთა ხმები, ან სუსტი ხმებია, აგრეთვე პოეტიური ნაწარმოებიც შეუძლებელია იქ, სადაც არ არის ნამდვილი ცხადად განსაზღვრული ხასიათი". იმისთანა მოთხრობებს, რომელშიაც დიდებია კარგად დახასიათებული, ის უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ ბავშვის ცხოვრებიდგან აღებულს მოთხრობასთან, რომ პირველ მოთხრობის კითხვის დროს ბავშვები თავიანთ ცხოვრებას ადარებენ დიდების ცხოვრებასთან და ამნაირად მათი გონება, მიმბაძველობის ძალით, თან-და-თან შედის მომწიფებაში. ამისთანა მოთხრობას ბავშვები ხალისიანად კითხულობენ-მეთქი. ბ-ნმა გომართელმა მიგვითითა მაინრიდსა და ჟიულ ვერნზედ და სწერს: „ამ თხზულებებს ბავშვები კითხულობენ გატაცებით არა იმიტომ, რომ გმირები დიდ-კაცებია და დამთავრებული ხასიათი აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ამ ავტორების რომანები სავსეა ისეთი ფაქტებით, შემთხვევებით და გმირების თავ-გადასავალით, რომელიც ბავშვის ფანტაზიას მეტად ხიბლავს და იტაცებს". ბ-ნს გომართელს ავიწყდება, რომ მაინრიდის თხზულება ეკუთვნის საზოგადოდ იმ დარგს მწერლობისას, რომელსაც ეკუთვნიან ზღაპრები. თუ მაინრიდს გატაცებით კითხულობენ ბავშვები, ეს იმიტომ, რომ, როგორც სამართლიანად შენიშნავს რუსების მწერალი აქსაკოვი, ბავშვებს აქვთ: „Страсть къ чудесному", რომელიც ბავშვისათვის ადვილ ახსნილია. ამის გამო კარგი დახასიათებაც რომ იყოს გმირებისა მაინრიდის თხზულებაში, ბავშვი იმას ყურადღებას არ მიაქცევს, როგორც არ აქცევს ყურადღებას ამერიკის ბუნების აღწერილობას, რომლითაც სახეში ჰქონია მაინრიდს გაეცნო მკითხველებისათვის ამერიკის ბუნება. შემოქმედებითი ძალა მაინრიდის თხზულების კითხვით ჰმოქმედებს გადაჭარბებით, ფანტაზია ჰლებულობს არა ნორმალურს განვითარებას, ბავშვის გონებაში მაინრიდის კითხვით იბადება სიმართლეს მოკლებული შეხედულება ბუნების შესახებ, ამიტომ იმისთანა პოეტური ნაწარმოები, რომელშიაც იდეალური და რეალური ბუნების შეხედულობა ერთმანეთში შეკავშირებულ-შედუღებული არ არის, არც სასურველია საკითხავად ბავშვებისათვის. ამიტომ არც მაინრიდის წიგნების ხშირ კითხვას ვურჩევდით ჩვენ ჩვენს მოზარდთაობას. თუ პოეტური ნაწარმოები არა ისეთი ფანტასტიურია, როგორც მაინრიდის თხზულებაა, და გმირების დახასიათებაც არის, როგორც მაგალითად ვაჟა ფშაველას მოთხრობებშია ხშირად, მაშინ ამისთანა მოთხრობებსაც დიდის ხალისით წაიკითხავენ ბავშვები, ამისთვის რომ მკითხველებს იტაცებს სწორი და ნამდვილად დახასიათება გმირებისა, როგორც მუსიკალურ პიესაში კარგი ხმები.

ახირებული აზრი წარმოსთქვა ბ-ნმა გომართელმა შესანიშნავ კაცების ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ. ბ-ნი გომართელი თანახმაა, რომ რომელიმე შესანიშნავის კაცის ბიოგრაფია აღძრავს ბავშვებში მიმბაძველობას, მაგრამ იმდენად-კი არა, როგორც მე მგონია „თუ ბავშვი ცუდმა აღზრდამ და მემკვიდრეობამ გააფუჭა, ათასი უჩიჩინოთ: პატარა კოლუმბი, პატარა გარიბალდი ბეჯითი იყვნენო, ამით მას ვერ გააბეჯითებთ". მაშ რომ არ ვუთხრათ, ხომ გაბეჯითდება! მემკვიდრეობას დიდი გავლენა აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ ეს ბ-ნმა გომართელმა სრულიად უადგილოდ ჩაახხირა აქ. მემკვიდრეობით ბევრი რამ ცუდი თვისება გარდაე-

*) იხ. „ივერია" № 137.

⁂ განზრახვა აქვთ, რომ საერო დარაჯთა შესანახ ხარჯების მომატების დროს მოუმატებლად დასტოვონ ზოგიერთი გარდასახადი. ასეთ გარდასახადებს ეკუთვნის, სხვათა შორის, საქარხნო სავაჭრო სამრეწველო დასხვა დაწესებულებათა 2 %-ის გარდასახადი და აგრეთვე საკომლო გარდასახადი.

⁂ 3 სექტემბრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების თავადის დავით მიქელაძისა, რომელსაც ისა ჰბრალდება, რომ მან 1899 წ. 27 თებერვალს, ქ. ტფილისში, რიყის ქუჩაზედ, წინაღმდეგობა გაუწია იარაღით ხელში ქ. ტფილისის მე-8 ნაწილის პოლიციელთ მათ მიერ სამსახურის შესრულების დროს.

⁂ რუსეთ-ბელგიის საზოგადოებას, რომელიც ქვანახშირის მაღნებს აწარმოებს ტყიბულში, მოლაპარაკება გაუმართავს საფრანგეთის კაპიტალისტებთან იმ აზრით, რომ დაიპყრონ საწარმოვო თანხა ქვანახშირის წარმოებისა და ბრიკეტის ქარხნის განსაახლებლად.

⁂ საქართველოს ეგზარხოსს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს კინაღამ უბედურება შეემთხვა 29 ივნისს. ამ დღეს განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის პანაშვიდის გადახდის შემდეგ, იმ დროს, როცა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეტლში ჯდებოდა, ცხენებმა უცებ პირი იბრუნეს და მიაწყდნენ ტაძრის კიბეს. ზოფიცხლად და ზოგიერთი დამსწრენი ერთხმად მისცვივდნენ ცხენებს დასაჭერად და ამით ეგზარხოსი უბედურებას გადაარჩინეს.

⁂ მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების გამო ბრძანება მიეცა ტფილისში მყოფ ჯარებს ატარონ მგლოვიარობის ნიშანი 3 თვის განმავლობაში.

⁂ სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: გავრცელებულ იქმნას ბაქოს გუბერნიაზედ იმ წესების მოქმედება, რომელიც შეეხება საქარხნო მრეწველობის ზედამხედველობას და მექარხნეთა და მუშათა საურთიერთო დამოკიდებულებას. საქარხნო ინსპექტორად დანიშნულ იქმნა ინჟ.-ტეხნოლოგი ა. ა. ზისარენკო.

⁂ კავკასიის სახალხო საზოგადოების განყოფილება 1 ლ ივლისიდგან საბრეშუმო სადგურში ყოველ დღე ნაშუადღევის 5—7 საათამდე გამართავს ლექციების კითხვას ნაყოფების მოყვანისა და შენახვის შესახებ. მსურველთ უსასყიდლოდ შეუძლიათ ლექციებზედ დასწრება.

⁂ მტკვარში ხალხის დაღუპვის ასაშორებლად ტფილისის „წყლის განსაცდელისაგან დამხსნელმა საზოგადოებამ“ გამართა ტფილისში 10 სადარაჯო მცურავებით მობანავეთა თვალ-ყურის სადევნებლად, შემდეგს ადგილებში: მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ: 1) დიდუბეში, ბორანთან, 2) ვერის ხიდის ზევით, 3) იმავე ხიდის ქვევით, 4) წყლის საზიდ დაღმართთან; მარცხენა ნაპირზედ: 1) შუა-მუშტაიდის პირდაპირ, 2) საკანტროლო პალატის პირდაპირ, 3) ნიკოლოზის ხიდისა და ხუდავერდოვის წისქვილის ზევით, 4) ვოდოპიანოვისეულ წისქვილსა და ბორანს შუა, 5) გოგილოს აბანოსთან და 6) ნავთლუღის უმთავრეს დაღმართთან. გარდა ამისა შემდეგს ადგილებში: 1) შერემეტიევის ქუჩაზედ, დიდუბეში, მდინარის დაღმართთან, 2) ავთეჭის ქუჩის დაღმართთან, 3) ტივების კანტორასთან, 4) პოპკოვის წისქვილსა და ბორანს შუა, 5) საზამთროების მოედანთან, 6) მნაცაკანისა და ვერის ხიდებს შუა. სადარაჯო ადგილებზედ აღმართულია საზოგადოების ბაირაღები.

⁂ „ტფ. ფ.“-ს ბაქოდგან აუწყებენ: რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთ: მაშინისტის თანაშემწეთ, მეისრეთ, „კონდუქტორთ“ და სხ. საკმაოდ მცირე ჯამაგირი ეძლევათ და მრავალი მოსამსახურე ამ ბოლოს დროს სამსახურს თავს ანებებს, ამის გამო გზის ადმინისტრაცია იძულებულია შეამციროს მატარებელთა მოძრაობა. მოძრაობის რევიზორმა ეს ამბავი დეპეშით შეატყობინა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსს, მაგრამ გზის სამართველოსაგან ჯერ პასუხი ვერ მიუღია, საქონლის მატარებელთა მოძრაობის შემცირება-კი მეტად აფერხებს მთელის კავკასიის მრეწველობის საქმეს.

⁂ იმავე გაზეთს სიღნაღიდგან სწერენ: წელს აქ შესამჩნევად გაფართოვდა თამბაქოს ყანები. საუცხოვო მოსავალს მოელიან. თამბაქოს ფასების აწევის მეოხებით მეთამბაქოენი დიდ მოგებას ჰნახავენ.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა ი. ნ. სვეჩინმა მიიღო სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში გასამართავ გამოფენის საპატიო თავმჯდომარის წოდება.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი კოჯორს გაემგზავრა საზაფხულოდ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის განკარგულებით, აღკრძალულია ბანაობა შემდეგს საშიშ ადგილებში: მარჯვენა ნაპირთან: 1) გოლდლიუსტის წუმწუმის ქარხნის ქვემოდ, წყლის ჩარხთან, 2) ბორნიდგან 50 საჟენის ქვემოდ, 3) სულით ავადმყოფთა განყოფილების შენობასთან, 4) ვერის ხიდის პირველ ქვის ბურჯთან, 5) ფანქის ტაძრის პირდაპირ, მდინარის პატარა შტოს კედელთან; მარცხენა ნაპირთან: 1) ვეტცელის ლუდის სახდელ ქარხანასთან, 2) წყლის წისქვილებთან და 3) თივის მოედანის დაღმართთან.

## ქალაქის საბჭო

30 ივნისი

ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ მ. ს. შესტაკოვმა კრების დაწყებისათანავე შემდეგის სიტყვებით მიჰმართა საბჭოს:

„ბ-ნებო! მე წილად მხვდა მძიმე მოვალეობა — განვიმეორო დიდად სამწუხარო ამბავი მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავარის გიორგი ალექსანდრეს ძის 28 ივნისს დილის $9^1/_2$ საათზე ღ. აბასთუმანში ღვთივ განსვენების ამბავი. ამ საყურადღებო შემთხვევამ დიდის მწუხარებით მოიცვა ყველა ქვეშევრდომი ჩვენის მთელს ქვეყნიერობაზედ უდიდესის მამულისა. ეს სამწუხარო დრო თანაბარს მოქმედებას თხოულობს და ამიტომ წინადადებას ვაძლევ საბჭოს განუსაზღვრელ სიყვარულისა და პატივისცემის გამო ღვთივ განსვენებულის მიმართ მომანდოს მე:

1) ვაუწყო მის იმპერატორებითი უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მის იმპერატორებითს უდიდებულესობას ქვრივს იმპერატრიცას ულრმესი მწუხარება ტფილისის მკვიდრთა მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეწვია.

2) გვირგვინით შევამკო კუბო ტფილისის სახელობით;

3) დღევანდელს კრებაზედ განსახილველად დანიშნული საგნები გადავდო და ეს დრო მოვახმაროთ მხურვალე ლოცვას, რათა ნეტარ განისვენოს მემკვიდრე ცესარევიჩმა და მეუფემან მისცეს ძალა და ნუგეში ასეთის მძიმე მწუხარების ასატანად მეფის სახლობას და ქვრივს დედა-იმპერატრიცას;

და 4) ეს დადგენილება აღსრულებაში მოვიყვანო, ვიდრე ჟურნალს ხელს მოაწერდნენ.“

ხმოსნები ფეხზედ დგომით ისმენდნენ თავმჯდომარის ლაპარაკს. საბჭომ ერთხმად შეიწყნარა ეს წინადადება.

შემდეგ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი საბჭოს დარბაზშივე მღვდლის მიხ. ჯაოშვილის მიერ ხმოსანთა, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა, გაზეთების თანამშრომელთა და დიდძალ გარეშე ხალხის თანადასწრებით.

## წერილი გორიდგან.

კიდევ ერთი თვე და ვეღირსებით ხმოსნების არჩევას.... „ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ გორის თვითმმართველობის არჩევნები 30 ივლისისათვის არის დანიშნული. იმედია ეხლა მაინც მოეღება ბოლო ჩვენის ქალაქის უპატრონობას. ეხლანდელმა ქალაქის მმართველებმა შეისრულეს გულის წადილი და მთელი წელიწადი გადააცილეს თავისს ვადას. შარშან ენკენისთვეში უნდა გამოეცვალათ ძველი მმართველები, მაგრამ მაშინდელი არჩევნები განასაჩივრეს და დღემდის არ გათავებულა ამ საქმის გარჩევა. მთელის წლის განმავლობაში იღებენ ჯამაგირებს ქალაქის კასსიდგან ძველი მმართველები და მეტიც არა უნდოდათ—რა. ეხლა ძველები იმას სცდილობენ, რომ ხმოსნებად ისეთები იქმნენ არჩეულნი, რომ სულ მაინც არ განიდევნონ სამმართველოდგან. თუ მამასახლისი არ დარჩება ძველი, საბჭოს წევრები მაინც ეგებ შეიბრალონ ახალმა ხმოსნებმა „მოხუცებულობის“ გამო და არ დასტოვონ ულუკმა პუროდ. მაგრამ ვაი თუ იმედი გაუცრუვდეთ ეხლანდელ საბჭოს წევრებს და არ შეიბრალონ ახალმა ხმოსნებმა? მაშინ რაღა ეშველებათ? არც თვით მამასახლისი ჰკარგავს იმედს ხელმეორედ არჩევაზედ. მის მოადგილეთ ისეთ კანდიდატებს ასახელებენ კერძო ლაპარაკში გორელები, რომ არც საკვირველია იმედი იქონიოს ძველმა მამასახლისმა. ამომრჩევლების უმეტესი ნაწილი კანდიდატის საუკეთესო თვისებად იმას ასახელებს, რომ „არ მოიპარავსო“. თუმც არაფერს გააკეთებს ქალაქის სასარგებლოდ, მაგრამ არ მოიპარავს და ასიც კარგიაო! ეტყობა ძალიან შეუშინებია გორელები „მოპარვას“, უთუოდ ოდეს-

---

კემა ბავშვს, მაგრამ აღზრდამ თუ ვერ მოსპო მთლად ეს თვისება, უნდა შეასუსტოს მაინც. აქ საჭიროა მთაგონება. ბავშვის სულიერი აგებულება საზოგადოდ ისეთია, რომ რაც უნდა გაზარმაცებული იყოს, მიმბაძველობას მაინც საკმაოდ იჩენს; ამ თვისებას არ არიან მოკლებულნი არც ქართველი ბავშვები, რაც უნდა მემკვიდრეობით გაზარმაცებულები იყვნენ. ჩვენ გვგონია ზარმაცები უფრო ჰსაჭიროებენ შთაგონებას და ყოველს ღონისძიებას, რომ მათში აღიძრას ბეჯითობა და სხვა კეთილი სურვილები. სმაილსის სიტყვით, ერთა შუა ნიჭის კაციც შეიძლება მხნეობისა, შრომისა, საქმის სიყვარულის წყალობით გახდეს გენიოსად; ათის წლის სუვოროვში პლუტარხის კითხვამ აღძრა ისეთი გრძნობები, რომელთაც გენიოს სარდლად გაჰხადეს ბოლოს. იოანნე გუსის ბიოგრაფიამ იმოქმედა ლიუტერზედ იმდენად, რომ მთელი რეფორმაცია მოახდინა სარწმუნოებისა და ეკკლესიის საქმეებში.

როცა ბიოგრაფიების შესახებ შენიშვნებსა ვწერდით, სახეში არ გვქონია ყოველის მხრივ დაგვეხასიათებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ ბიოგრაფიების კითხვას ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან პატარა მკითხველებისათვის. ბ-ნი გომართელი კი გვამცნევს: „კოლუმბის ბიოგრაფიიდგან ბავშვები გაიგებენ ამერიკის აღმოჩენის ამბავსო“. გომართელისა კი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ვერ წარმოვიდგენდით, კოლუმბის ბიოგრაფია დასწეროს კაცმა და ამერიკის აღმოჩენის შესახებ არაფერი სთქვას! „საღმრთო პირების ბიოგრაფიაში სინამდვილე და ბუნებრიობა უნდა იყოს დაცულიო“, ე. ი. ბიოგრაფიის კარგი და ცუდი მხარეც უნდა იყოს მოხსენებულიო; ეს იმისგანაა დამოკიდებული, თუ ვისთვის სწერენ ბიოგრაფიას, თუ ბავშვისათვის, მაშინ ბიოგრაფიის დამწერს თავდაჭერილობა ჰმართებს, რომ იმისთანები არა სთქვას რა, რასაც შეუძლიან ცუდი გავლენა მოახდინოს ბავშვზედ; საჭიროა, რომ ბიოგრაფიის კარგმა თვისებებმა დაჰფაროს ის ნაკლულევანებანი, რომელიც მიუძღვის ყველა კაცურ კაცს. საზოგადოდ ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ სმაილსი შენიშნავს, „ჩვენთა წინაპართა ცხოვრების აღწერილობას შეუძლიან მოგვიტანოს სარგებლობა იმ მხრივ, რომ შევისწავლით და შევითვისებთ იმას, რაც მისაბაძია. ის კაცი, რომლის ცხოვრების აღწერა გვამცნევს უმაღლესს საქციელს, უანდერძებს შთამომავლობას დაუშრეტელს წყაროს სიკეთისას, მისთვის, რომ მისი საქციელი სამაგალითო გახდება მომავლის თაობისათვის. ამისთანა ცხოვრების აღწერილობის კითხვა გამოიწვევს მიმბაძველობის სურვილს, ე. ი. გაგვიახლებს ხასიათს, რომელიც შემუშავდება მაგალითების მიხედვით. ამისთანა წიგნი უძვირფასესი საუნჯეა — ის ჰგავს ძლიერს სულს. რომელსაც შეუძლიან გააცოცხლოს მოდუნებული სხეული“ (სმაილსის „თვითმოქმედება“, II — 239).

შარშან „ჯეჯილში“ იბეჭდებოდა ფიზიოლოგიური წერილები, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნს გომართელს. ჩვენ შენიშვნებში ვამბობდით: „ფიზიოლოგია რთული მეცნიერებაა, იგი დამყარებულია სხვა მეცნიერებაზედ, როგორიც არის—ქიმია, ჰიდრავლიკა, მეხანიკა, ოპტიკა და სხვაამის გამო ფიზიოლოგიური წერილები, რომელსაც საგნად მარტო ფიზიოლოგიურ ჭეშმარიტების განმარტებაც რომ ჰქონდეს, მაინც ძნელია საკითხავად პატარა მკითხველებისათვის, რომელთაც ჭირივით ეჯავრებათ დოგმატიურად დაწერილი წერილები და ისიც სამეცნიერო, რომელიც, ასე თუ ისე, ითხოვს ისეთს მკითხველებს, რომელსაც მცირე საზოგადო განათლება მაინც უნდა ჰქონდეს მიღებული („ივერია“ № 91). ამის წინააღმდეგი ბ-ნმა გომართელმა ვერა სთქვა რა. იგი სწერდა: „ფიზიოლოგია სხვა და სხვა არსებათა სასიცოცხლო მოვლენების მეცნიერებააო“ („ჯეჯილი“ № III გვ. 37); ბ-ნი გომართელი სასიცოცხლო მოვლენების შესახებ ესაუბრება მკითხველებს; ჩვენ შევნიშნეთ, რომ სიცოცხლე რთული საგანია და მეცნიერებაშიაც გამოურკვეველი. ეს დაუმტკიცეთ კიდეც; ამის წინააღმდეგი ვერა სთქვა რა ბ-ნმა გომართელმა. ვერც ავტორიტეტის სიტყვებით და ვერც თავის მეცნიერებიდგან, სთქვა მხოლოდ ის, რომ „ავტორიტეტის შეწუხება სამარცხვინოდ მიგვაჩნიაო“. აქ მოგვაგონდა ერთი უნიჭო მოსწავლე, რომელიც რამდენჯერმე სცდილობდა ეგზემენების გარდახდას, მაგრამ ყოველთვის წერას უწუნებდნენ; თავს კი იმით ინუგეშებდა, ამხანაგებს რომ ჰკითხავდნენ ხოლმე: написалъ бы великое произведеніе, да боялся, чтобъ въ сибирь несослали“-ო. ფრაზაში: „ყოველგვარ სიცოცხლის უკანასკნელი მიზეზი ჩვენ დედა მიწაზე მზე არის“, ჩვენ გაუსწორეთ, რომ სიტყვა უკანასკნელი უხერხულად არის ნახმარი, რადგანაც აქედგან ცხადია, რო თუ უკანასკნელი მიზეზი მზეა, მაშ მზის გარდა სხვა მიზეზიც ყოფილა პირველი, მეორე... უკანასკნელი და სხვა. მაგრამ ამას ვერ მიმჰვდარა ბ-ნი გომართელი და უმეცრებას გვწამებს, ვითომ მზეში ვერ ვხედავთ იმ ცხოველ-მყოფლობას, რომელიც ცისა და ქვეყნის გამჩენს დაუმკვიდრებია მისთვის.

ლექსებისა და მოთხრობების გარჩევის დროს ჩვენ მოგვყავდა ან შინაარსი მოთხრობისა მთლად, ან რომელსამე ლექსის საქებარი, ანუ დასაწუნარი ტაეპი და იქვე ჩვენი აზრიც, ზოგჯერ ვრცლად, მაგალ. ლექსების შესახებ („ივერია“ № 111) ნათქვამს მთელის წერილის მესამედი უჭირავს, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ვამბობდით, რომელისამე პატარა იგავისა ანუ გასართობის შესახებ, რომ „რიგიანია“, „არა უშავს რა“ და სხვა. ბ-ნი გომართელი ამ ორიოდ შემთხვევიდგან და ისიც იმისთანა უბრალო საკითხავ მასალის შესახებ, რომელიც რეცენზენტს შეეძლო სრულიად უყურადღებოდაც დაეტოვებინა, დასკვნის: „როდესაც ბ. ბოცვაძე ლექსებსა და მოთხრობებს არჩევს, უმთავრეს ყურადღებას გრამატიკას აქცევს, დანარჩენის დასაფასებლად კი ცხონებულის სუმაროკოვის კლასიფიკაციით ხელმძღვანელობს.“ („კვალი“ № 17). ეგ კრიტიკის კრიტიკაა, მაშ რა ჯანაბაა! ბ-ნმა გომართელმა სუმაროკოვი ახსენა, ეტყობა ძალიან დაახლოვებული უნდა იყოს იმასთან, მაგრამ ბ-ნს გომართელს უყურადღებოდ დაუტოვებია სუმაროკოვის ცხოვრების ერთი საგულისხმიერო მხარე, რომელიც კარგს გაკვეთილს მისცემდა, რომ ბიოგრაფიის კითხვას იმაზედ ისეთი გავლენა ჰქონდეს, როგორც სხვებზედ: „Вѣдь Александръ Петровичъ хотѣлъ блистать во многихъ родахъ сочиненій

ლაც ქურდობას უჩენია თავი ქალაქის თვით მმართველობაში და იმიტომ მიაჩნიათ კანდიდატის საკმარის ღირსებად ის გარემოება, რომ ქურდი არ არისო. ყველგან საქმეს თხოულობენ ქალაქის მმართველისაგან და აქ-კი ოღონდ ქურდი არ იყოს და მეტი არა გვინდა რაო... მახლას!

არ ვიცი რას მოუტანს გორს ახალი არჩევნები, მაგრამ იმას-კი გავბედავ და ვიტყვი, რომ, თუ ერთ ერთი იმ კანდიდატთაგანი აირჩიეს მამასახლისად, რომლებსაც კერძოთ ასახელებენ, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებისათვის სასარგებლო არა გაკეთდება-რა. როგორც საერთოდ, ისე ჩვენის ქალაქისათვის საჭიროა ისეთი პატრონი და მმართველი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შეგნებული აქვს ეხლანდელი ცხოვრების მიმდინარეობა და მისი საჭიროება. საჭიროა განათლებული, განვითარებული და მხნე კაცი.

დროა არის გორელებმა დასტოვონ მეგობრული და ნაცნობური მიკერძვა ისეთ საქმეში, როგორიც არის ქალაქის მამასახლისის და საბჭოს წევრების არჩევა და მომავალ არჩევნებისათვის მოამზადოს ისეთი კაცის კანდიდატურა, რომელსაც საქმიანობა შეეძლოს და არა მარტო ის თვისება ჰქონდეს, რომ „არ მოიპარავსო“.

პატიოსნება ერთ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საზოგადო მოღვაწისათვის, მაგრამ მარტო პატიოსნობით არა გაკეთდება-რა. პატიოსნებასთან ერთად საჭიროა საზოგადო მოღვაწისათვის საქმის გაკეთების უნარი, მხნეობა და შრომისათვის საჭირო ძალ-ღონე.

ს. რ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. აცანა**, (გურია). ამ სოფლის მცხოვრებნი ძლიერ გამრჯელნი და მუყაითნი არიან ყველა საქმეში, რაღა თქმა უნდა, სწავლა-განათლების საქმეშიაც. აცანლები მუდამ იმას სცდილობენ, რომ გონივრულად წინ წაიწიონ და სხვა სოფელს უკან არ ჩამორჩნენ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველ ჩვენს კეთილ მისწრაფებას წინ ეღობება ოთხი თუ ხუთი ჩვენის სოფლის „უარყოფა“ კაცუნა, რომლებიც საკმაო მომხრეებს ჰშოულობენ, რომ საზოგადო საქმე დააბრკოლონ. მაგალითად, აგერ ერთ წელიწადზედ მეტია, რაც განაჩენი იქმნა დადგენილი აცანის ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთების შესახებ. ეს განაჩენი მთავრობისაგან დამტკიცებულია და ხელშეკრულებაც არის სოფლის და ოსტატებს შორის სკოლის შენობის აგების შესახებ, რომელიც მომავალ ენკენისთვისათვის მზად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზემოხსენებულ კაცუნებთა ჩაგონებით თითქმის მესამედმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ ითხოვა სკოლის გადატანა უწინდელ სასკოლო ადგილიდგან კითომ უკეთესს და საშუალო ადგილზედ, (რასაკვირველია, იმათ ეზოს ახლოს) იმ მიზეზით, რომ სკოლის ეხლანდელი ადგილი მიუვალი და უვარგისიაო. ამ გარემოების გამო სკოლის შენობის აგება დაგვიანდა და საზოგადოებას სამას მანეთზედ მეტი ზარალი მიეცა. ეხლა-კი როგორც იქმნა საქმის ადგილობრივ გამოკვლევის შემდეგ, ოზურგეთის მაზრის უფროსმა, ბ-ნმა ლაზარენკომ, სახალხო სკოლების ინსპექტორის განკარგულებისამებრ, საუმჯობესოდ სცნო სკოლა აეშენებინათ უწინდელ ადგილზედ, სადაც აზ. ილარიონ ურატაძემ შესწირა სკოლას ადგილი. მაგრამ მოწინააღმდეგენი კიდევ არ ისვენებენ და სცდილობენ როგორმე შეაფერხონ საქმე.

ბ-ნ მაზრის უფროსის თანადასწრებით აცანის საზოგადოებამ აარჩია სოფლის მოხელენი: მამასახლისად არჩეულ იქმნა მასიკო მგელაძე, რომელიც ცნობილია ყველასაგან მართალ და პატიოსან კაცად.

ა.

## რუსეთი

— შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის გზებზედ მოსამსახურე ფერშლების მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქმნას. შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ იქ მოსამსახურე ფერშლებს ისეთივე სახელმწიფო სამსახურის უფლებანი უნდა მიენიჭოს, როგორც სხვა უწყებებში მოსამსახურე ფერშლებსა აქვთო.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სამღვდელოებათა მორიგი კრებანი წელს მოწვეული იქმნება არა უადრეს სექტემბრისა, რადგანაც ბევრი სოფლის მღვდელი მეურნეობას მისდევს და სექტემბრამდე ბევრი საქმეები აქვთ, კრებაზედ დასწრება კი ხელს შეუშლის ამ საქმეებს.

— როგორც იგივე გაზეთები იუწყებიან, პეტერბურგში არსდება ამხანაგობა, რომელსაც აზრად მხოლოდ ის ექმნება, რომ მსურველთათვის ხელმისაწვდენად მგზავრობანი გამართოს რუსეთსა და ევროპაში. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და ამ ახლო მომავალში ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ დასამტკიცებლად.

— ამ წლის დამდეგს ან მომავალ წლის დასაწყისს პეტერბურგში მოხდება კრება სრულიად რუსეთის ქარხნების პატრონთა. აზრადა აქვთ სრულიად რუსეთის პირველ-დაწყებით სკოლათა მასწავლებლების კრებაც მოახდინონ.

— როგორც „С. О.“-ა იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს დაავალოს სამკურნალო დეპარტამენტს, სხვა უწყებებთან ერთად, მოილაპარაკოს ახალის ნიხრის დადგენის შესახებ კერძო ექიმთათვის. ექიმები ვალდებული იქმნებიან მკურნალობის დროს ამ ნიხრით იხელმძღვანელონ და იმდენი აიღონ შრომისათვის, რამდენიც ნიხრში იქმნება აღნიშნული.

— იმავე გაზეთის სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულო გაჰხადონ ყველა საგუბერნიო და საოლქო საავადმყოფოსთან დაარსებულ იქმნას საფერშლო კურსები როგორც მამაკაცთა, აგრეთვე დედაკაცთათვის.

— ვარშავის პოლიტეხნიკუმში, სამსავე განყოფილებაში მომავალ სამოსწავლო წელს 195 თავისუფალი ვაკანსიაა.

— გუშინა ვწერდით, რომ გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება ქ. ეკატერინოსლავში სამთო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ისიცა ვთქვით, რომ ინსტიტუტს ორი განყოფილება ექმნება: სამთო და საქარხნო. ასწავლიან ამ ინსტიტუტში შემდეგ საგნებს: ღვთის მეტყველებას, უმაღლესს მათემატიკას, საანალიტიკო მექანიკას, აღსაშენებელ მექანიკას, სამთო-საქარხნო მექანიკას, ფიზიკას, ელექტრო-ტეხნიკას, ქიმიას, მინერალოგიას, გეოლოგიას, გეოდეზიას, სამთო ხელობას, მეტალურგიას, ლითონთატეხნოლოგიას, ხაზვას და სახაზო გეომეტრიას, ანგარიშს და მთა-მადნების საქმეს და ზოგიერთ სხვა საგანსაც. ინსტიტუტში მიიღებენ რუსეთის ქვეშევრდომთ, რომელთაც აქვთ 1, უმაღლესს სასწავლებლის გათავების ატესტატი; 2, გიმნაზიის ან რეალურ სასწავლებლის გათავების ატესტატი და 3, იმ საშუალო სასწავლებლის გათავების ატესტატი ან მოწმობა, რომელთა კურსის გათავებასაც მიწად-მოქმედების მინისტრი საკმაოდ სცნობს ინსტიტუტში შესასვლელად. ამ უკანასკნელთ ხატვასა და ხაზვაში ეგზამენი უნდა დაიჭირონ. სწავლის ფასი 100 მანეთი იქმნება წელიწადში. ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებულთ შეუძლიანთ სამთო-ინსტიტუტში ეგზამენი დაიჭირონ, როგორც ამ ინსტიტუტის მესამე და უმაღლეს კურსებზედ შესასვლელად, ეგრეთვე სამთო ინჟენერის ხარისხის მისაღებად.

— მოსკოვში აზრადა აქვთ სართავ-საფეიქრო სასწავლებელი დააარსონ. ფინანსთა მინისტრს უკვე დაუმტკიცებია წესდება ამ სასწავლებლისა. სწავლის ვადა სამი წელიწადი იქნება.

## უცხოეთი

**ბელგია.** მთავრობის კანონ-პროექტისაგან გამოწვეული ბრძოლა პალატაში იმდენად გამწვავდა, რომ ცემა-ტყეპაც-კი ასტყდა. 16 ივნისს პალატამ უარ-ჰყო სოციალ-დემოკრატის ვანდერველდის ფორმულა, რომლითაც მან საყვედური გამოუცხადა მთავრობას. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა ასტეხეს საშინელი ხმაურობა. სოციალ-დემოკრატი ფიურნემონი და კლერიკალი გუტელეკე შეეტაკნენ ერთმანეთს საორატორო ტრიბუნასთან. ორივე იატაკზედ დაეცა. ამ შემთხვევამ გამოიწვია საყოველთაო შეტაკება მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის. პრინცმა მეროდმა სილა გაუშალა სოციალისტს ფურნეცს, მაგრამ ფურნეცმა მუშტით სათვალეები ჩაამტვრია პრინცს. კლერიკალი ბრო-

---

и ни въ одномъ не достигъ совершенства“. ეს სწორეთ გაკვეთილია ყველასთვის, ვინც ებღაუჭება ყველა საქმეს და რიგიანი წარმოდგენა და საფუძვლიანი სწავლა არც ერთისა არ აქვს.

„თარგმანს ბ-ნი ბოცვაძე ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს. ნუ თუ რობინზონს, ანდერსენის ზღაპრებს და სხ. ქართველ ბავშვებისათვის მნიშვნელობა არ ექნება“? სწერს იგი („კვალი“ № 17). თქვე დალოცვილო, ვიდრე ამას იტყოდით, წაიკითხავდით ჩვენს აზრს თარგმანების შესახებ.—აი რასა ვწერდით ჩვენ: „ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იმისა, რომ დრო გამოშვებით „ჯეჯილში“ ნათარგმნი მასალაც იბეჭდებოდეს, მაგრამ უმთავრესი ადგილი აუცილებლად ადგილობრივს ელემენტს უნდა ეჭიროს; უცხო ენის მასალიდგან შეიძლება იბეჭდებოდეს ისეთი მასალა, რომელსაც აქვს საზოგადო საკაცობრიო მნიშვნელობა“ („ივერია“ № 22, 1899 წ.). ანდერსენის ზღაპრები და რობინზონი ყველა ერს აქვს გადათარგმნილი, ვისაც თავისი საკუთარი წერა-კითხვა და ანბანი მოეპოვება და ეს მგონია საზოგადო საკაცობრიო კუთვნილებას შეადგენს. ჩვენ დავიწუნეთ ფრანგულიდგან თარგმნილი მოთხრობა „პუმის თავგადასავალი“, რასაკვირველია, ქართველის მკითხველისათვის, თორემ შეიძლება საფრანგეთში ეს მოთხრობა „ხელის-ხელ საგოგმანებელიც“ იყოს. ჩვენი კრიტიკოსი-კი გვარწმუნებს, რომ „პუმი ნამდვილი ტიპია, საუცხოვოთ არის დახასიათებული ექვსი წლის ბავშვიო“. პუმი სცხოვრობს მდიდრულს სახლში, ხშირად ასაზრდოვებენ ფანტასტიურ ზღაპრებით, ხშირად ატყუებენ, აშინებენ, რის გამოც მხდალიც არის, მშობლები პუმისა ცრუ-მორწმუნენი არიან; პუმს შეჰპირდებიან სადილზე სტუმრებთან დასვან მისთვის, რომ იკრიბება სულ ცამეტი კაცი; ამას გარდა, პუმი მსუნაგია; საზოგადოდ-კი პუმი წარმოადგენს უხეიროდ და ურიგოდ ცრუ-მორწმუნეობაში აღზრდილ ბავშვს. იქნება ამ მოთხრობის ავტორს უნდოდა მშობლებისათვის დაენახვებინა ტიპი უხეიროდ აღზრდილის ბავშვისა მათდა საგულისხმიეროდ; ქართველს მკითხველს რომ „პუმის თავ-გადასავალი“ ვერ აძლევს ვერავითარს გონებრივს საზრდოს, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. სწორეთ ორის თვის შემდეგ, როცა ჩვენ გავარჩიეთ ეს მოთხრობა, რუსულ ჟურნალ „Образованіе“ № 11 ნომერში გამოვიდა იმავე მოთხრობის რუსულ თარგმანის რეცენზია.—რეცენზენტი „პუმის თავგადასავალს“ უწოდებს: „Калейдоскопомъ болтавни пошловатой и не всегда опрятной“.

სხვათა შორის ამ მოთხრობაში არის ძალიან ბევრი უცხო სახელები, რომლის კითხვაც ბავშვს ხალისს უკარგავს; ამ შემთხვევაში შეხვდება თუ არა რამდენიმე სიტყვა უცხო, ბავშვი მაშინვე უკუაგდებს წიგნს. ჩვენ ეს შევნიშნეთ და აი, ამის პასუხად ბ-ნი გომართელი გვიწერს: „ქართველ პედაგოგებში არ იქნება ისეთი ლაყე თავიანი, რომ უმაწვილებს ვერ აუხსნას, ზუმი და ფრიმანი ადამიანებს ჰქვიან, თუ კატებსო“ („კვალი“ № 17). ბ-ნის გომართელის შეცდომა ის არის, სხვათა შორის, რომ საყმაწვილო ჟურნალს ისე უყურებს, როგორც სახელმძღვანელოს, რომელიც მასწავლებელმა უნდა აკითხოს ბავშვებს და გაუგებარი ადგილი აუხსნას კიდეც. ბ-ნი გომართელი რომ ამ აზრისა ყოფილა, სჩანს აქედგანაც: „ჩვენს მიზანს ის უნდა შეადგენდეს, რომ საშუალო სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლება ისე წარმოებდეს, როგორც საზღვარ-გარეთ(.) როდესაც ამ მიზანს საყმაწვილო ჟურნალი ივიწყებს, სარგებლობის მაგიერ ზარალი მოაქვს ბავშვისათვის.“ („კვალი“ № 17). ნეტავი რა „მიზანი“ უნდა იყოს, ან რა მიზანს უნდა მისდევდეს ჟურნალი „ჯეჯილი“, რომ გიმნაზიის მეშვიდე და მერვე კლასის მოწაფეებმა იქიდგან საღმრთო სჯულის გაკვეთილები ამზადონ. ეს რაღაც ახალი რეფორმატორი გამოგვეცხადა, მაგრამ ძალიან ბუნდოვანად გამოსთქვამს თავისს აზრს. ვინ არ იცის, საზღვარ-გარეთ ყველა საგნებზედ უფრო ცუდად საღმრთო სჯულს ასწავლიან. ეს დიდი ხანია საზღვარ გარეთ შეამჩნიეს და სცდილობენ, რომ სარწმუნოებისა და საღმრთო სჯულის სწავლებას სკოლებში შესაფერისი ადგილი ეჭიროს. ამას გარდა, საზღვარ გარეთ არიან ისეთი პროგრესისტები, როგორც თავისს თავს უწოდებენ, რომლებიც ბავშვებს ჰზრდიან სარწმუნოების გარეშეც; რა შედეგიც მოჰყვება ამ ნაირად აღზრდას ბავშვისას, ეს სჩანს მშვენიერის წიგნიდგან „ისტორია ბავშვის სულისა“, ინგლისურიდგან თარგმნილი, რომელიც შარშან მოსკოვში დაიბეჭდა..

წერილის დასასრულ ბ-ნი გომართელი შეეხება საზოგადოდ საყმაწვილო მწერლობას და წარმოსთქვამს თავისს აზრს. ზოგი ამ აზრთაგანი ჩვენც მოვიხსენეთ შარშან, ზოგიც ამ წერილში გვაქვს გარჩეული. ჩვენც არა ერთხელ აღვნიშნეთ შარშან ის ფაქტი, რომ ჟურნალ „ჯეჯილს“ ძალიან მცირე თანამშრომელი ჰყავს; ამისათვის ვიწვევდით ყველას, ვისაც-კი შეუძლიან დახმარება და შეწეობა გაუწიოს ამ საზოგადო საქმეში ჟურნალს. ბ-ნი გომართელიც იწვევს თანამშრომლებს, მაგრამ მარტო ქალებს, თითქოს თავის მეტი კაცი არავინ უნდა, რომ მონაწილეობას იღებდეს ჟურნალში. მაგრამ საყურადღებოა თვით საბუთი ბ-ნ გომართელისა: „პირველ დაწყებითი განათლება ქალს უკეთ შეუძლიან, ვიდრე მამაკაცსაო და საუკეთესო ასპარეზსაც საყმაწვილო ჟურნალი უნდა წარმოადგენდესო“. ახირებული აზრია სწორედ! იმან, ვინც პირველად სთქვა, პირველ-დაწყებითი განათლება ქალს უკეთ შეუძლიანო, აღნიშნა შინაური აღზრდა, შვილების აღზრდა ოჯახში, დედობრივი გავლენა, რომელიც შეადგენს დედა-კაცის პირდაპირ ზნეობრივს მოვალეობას. შეიძლება, რომ ყოველისფრივ კარგი აღმზრდელი დედა იყოს, მაგრამ საბავშვო მოთხრობის წერა-კი არ შეეძლოს; ან შეიძლება კარგს მოთხრობებსაც სწერდეს, მაგრამ აღმზრდელი-კი ცუდი იყოს. ან რატომ მამაკაცები-კი არ მოიხსენია ბ-მა გომართელმა? ჩვენ გვგონია, მამაკაცთა შორის უფრო ბევრს შეუძლიან მწერლობა საყმაწვილო მოთხრობებისა, რომელთაც ასე თუ ისე ცოტად მაინც უნდა ესმოდეს ბავშვის პსიხოლოგია; ბავშვის პსიხოლოგიის ცოდნა სავალდებულოა როგორც მწერლისა, აგრეთვე კრიტიკოსისათვისაც. ბ-ნის გომართელის ჩვენის წერილების შესახებ მსჯელობა არ არის დამყარებული ბავშვის პსიხოლოგიის კანონებზედ და ამიტომაც მეტად უძლურია.

ლ. ბოცვაძე

გვილი მივარდა სოციალისტს გიუზს; 20-მდე სოციალისტი მისცვივდნენ კლერიკალს ყვირილით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, მირს კლერიკალებიო!“ მინისტრ-პრეზიდენტის და დერ-პერბოომის გარდა, ყველა მინისტრებმა დასტოვეს თავიანთი ადგილები და დაიმალნენ პალატის პრეზიდენტის უკან. მინისტრ-პრეზიდენტს გარს შემოერტყნენ კლერიკალები, რომ სოციალისტებისაგან დაეცვათ იგი. სოციალისტებმა, რომელთაც მაყურებლებმა აღტაცებით ტაში დაუკრეს, მიაყვირეს მინისტრ-პრეზიდენტს: „თქვენი ბრალია ყოველი უწესობა, თქვენ იქნებით მიზეზი, სისხლი რომ დაიღვაროსო“. პრეზიდენტმა შესწყვიტა სხდომა, მაგრამ ხმაურობა ისევ იყო. დეპუტატთა გარედ გასაყვანად მოწვეულ იქმნა ჯარი. ამის შემდეგ, სოციალისტები აუარებელ ხალხის თანხლებით გამართნენ ქუჩებზედ და თან მღეროდნენ „მარსელიეზას“ და მუშათა სიმღერას „კარმანიოლას“. ხალხი ყველგან სიამოვნებით ეგებებოდა.

17 ივნისს ლიუტიხში რამდენიმე ათასი სოციალისტი მხიარულად მიეგება ბრიუსელიდგან დაბრუნებულ დეპუტატებს და გამართეს დიდი მანიფესტაცია მინისტრებისა და კლერიკალების წინააღმდეგ. დეპუტატები დიდის ამბით გააცილეს ქალაქის რატუშამდე, სადაც სიტყვები წარმოითქვა. ჟურნესმა გამოაცხადა: „მზად იყავით ყველაფრისათვის, თუ არა გსურთ 30 წლის განმავლობაში სული გხდებოდეთ კლერიკალთა უღლის ქვეშაო. დამბრონმა შესძახა: თუ სამინისტროს წინადადება მეწყნარებულ იქმნა, რევოლიუცია აღგვის მას დედამიწის პირიდგან მის მოვარჯულებთან ერთადო.“ მსმენელთ წინადადება მიეცათ მიეგებნენ ხოლმე რკინის გზის სადგურზედ დეპუტატებს. სამინისტრომ გამოსცა სასტიკი წესრიგი მშვიდობიანობის დასაცველად. ბრიუსელში მზად არის მთელი რაზმი ხალხის აჯანყების დასაცხრობად. პროვინციებიდგან ყოველ დღე ასობით მოდიან ჟანდარმები, მაგრამ 17 ივნისს, ღამის 12 საათზედ მაინც მოხდა დიდი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. მანიფესტანტები დადიოდნენ ქალაქში და გაიძახოდნენ: მირს სამინისტროო!

— ანტვერპენში ლიბერალები, პროგრესისტები, დემოკრატები და სოციალისტები შეიკრიბნენ დიდ მოედანზედ აუარებელ ხალხის თანადასწრებით. კრებაზედ იყვნენ ლიბერალთა და სოციალისტთა ყველა მეთაურნი. შემდეგ 9,000 კაცმა მწკრივად შემოუარა მთელს ქალაქს და კლერიკალთა ფანჯრების წინ დემონსტრაციები გაჰმართეს. ხალხს წინ მიუძღოდა ლიბერალთა ლურჯი ბაირაღები და სოციალისტთა წითელი დროშები. კომუნის ნოედანზედ მანიფესტანტებს სამი მიტინგი ჰქონდათ. ლიბერალთა და სოციალისტთა ორატორებმა ურჩიეს ანტვერპენის მცხოვრებთ, ნუ დაჰყრით იარაღს, ვიდრე მთავრობა პასუხს არ მოგვცემსო.

— ბელგიელთა დღევანდელ სულიერ მდგომარეობას დიდად ახასიათებს შემდეგი უბრალო შემთხვევა: სკოლიდგან მომავალი ბავშვები მარსელიეზას მღერით მიუახლოვდნენ სადარაჯოს, სადაც ჯარის-კაცს წყალი სთხოვეს დასალევად. „თქვენა ჰმღეროდით ქუჩაში?“—ჰკითხა მათ ჯარის-კაცმა. —„ჰო, ჩვენა ვმღეროდით“.—„რას ჰმღეროდით?“ — „მარსელიეზას“. — „მაშ, სოციალისტები ხართ?“ „სოციალისტები გახლავართ“. „მეც სოციალისტი ვარ, ბავშვებო; აჰა, დალიეთ წყალიო“, სთქვა ჯარის-კაცმა და ბავშვებს წყალი მააწოდა.

— სხვა-და-სხვა ქალაქების მოურავები (ბურგომისტრები) მიწვეულ იქნენ მეფესთან სათათბიროდ და ურჩიეს მას კაბინეტის დათხოვნა. მეფემ მინისტრიც მოიწვია. ყოველივე ეს მოწინააღმდეგე დასებმა გამარჯვებად მიიჩნიეს. სულ უფრო მლიერდება ის ხმა, რომ სამინისტრო დათხოვნილ იქმნება. ამტკიცებენ, რომ კაბინეტი სამსახურს თავს დაანებებს, ვიდრე კომისია საარჩევნო ცვლილების პროექტს განიხილავდესო. მინისტრების კანდიდატებად ასახელებენ სოციალისტთა მეთაურს ვანდერველდს და კლერიკალ-დემოკრატთა მეთაურს აბატს დენსს.

## დამაკვირდი

რამდენადაც ბოროტ-მოქმედი განვითარებულია, იმდენად უფრო საშიშია საზოგადოებისათვის.

ბ. დ—ლი

***

ერთითა საქმითა უმჯობეს არიან მდიდართასა გლახაკნი: უზრუნველობითა.

ეფთვიმე მთაწმინდელი.

***

წიგნი გონების სახნისია, და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელი აშავებს ყამირს, პირველი აბრწყინვებს აზრს.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები).

სტატისტიკას, მოგეხსენებათ, ეხლა მეტად დიდი გასავალი აქვს. რა საქმეში გინდათ, რომ ის არ გამოეყენოთ. სხვათა შორის ლეიპციგელს პროფესორს კესტნერს შეუკრებია სტატისტიკური ცნობები... ცოლების ღალატის შესახებ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში. ამ ცნობებიდგან პატივცემულ მეცნიერს ის დასკვნა გამოუყვანია, რომ ნემენცს ცოლი 7-ჯერ ჰღალატობს, ბელგიელს—6 ჯერ, ინგლისელს—5-ჯერ, ავსტრიელს—4-ჯერ, იტალიელს—3-ჯერ, ფრანგს—2-ჯერ და სხვა-და-სხვა. ამ რიგად ყველაზედ მეტად მოტყუებულნი ცოლებისაგან ნემენცები ყოფილან. საკვირველი აქ ის არის, როგორ და რაგვარად ჰკრებავდა პროფესსორი თავისს სტატისტიკურ ცნობებს. ასე თუ ისე მაინც სამწუხაროა, რომ ხსენებულ პროფესსორს ქართველებს შორისაც არ შეუკრებია ასეთი საინტერესო ცნობები. მაშინ გავიგებდით, ჩვენი პატივცემული მანდილოსნებიც ჰღალატობენ თუ არა ქმრებს, ხოლო თუ ჰღალატობენ, რამდენჯერ!!.

***

დრეიფუსი, დრეიფუსი და დრეიფუსი! საითაც გაიხედავ, დრეიფუსზედ ლაპარაკობენ. და მარტო ეხლა ხომ არა, მთელი ოთხი წელიწადი ასეა. საფრანგეთში კიდევ ჰო, შეიძლება დრეიფუსმა ყველანი აალაპარაკოს, მაგრამ სად საფრანგეთი და დრეიფუსი და სად რუსეთის რომელიღაც კუთხეში მივარდნილი ქალაქი, დაბა, თუ სოფელი (სწორე მოგახსენოთ არ ვიცი) ნოვოგრადვოლინსკი! ჰოდა, დრეიფუსს აი სწორედ იქაც გამოუჩენია თავისი ძლიერება და იქაც მოუხდენია ერთი ალიაქოთი. ერთი გაზეთი მოგვითხრობს, რომ დრეიფუსის საქმემ ამ მივარდნილ კუნძულში ორჯერ მუშტი-კრივი გამოიწვია ადგილობრივ „ინტელიგენტთა“ და ებრაელთა შორისაო. პირველმა [illegible] კაპიტანს და ამბობენ, რომ ხელახლა გაჰგზავნიან იქ, საიდგანაც ამ რამდენისამე დღის წინად მოიყვანესო, მეორენი-კი წინააღმდეგს: დრეიფუსი მართალია და ეხლა ამას საბოლოოდ გამოაქვეყნებენო. ლაპარაკს, მოგეხსენებათ, მუშტი მოსდევს, მუშტს კიდევ სასამართლო, და, იმავე გაზეთის სიტყვით, მალე პატივცემული მოკრივენიც თავიანთის შესანიშნავის მუშტებით სასამართლოს წინაშე წარსდგებიან თურმე.

***

ერთს გაზეთს მოჰყავს ნიმუშები ამერიკელ და ნემენცურ განცხადებებისა. აი რამდენიმე ამერიკული განცხადება: „ჩემი ცოლი სადღაც დაიმალა. ვაფრთხილებ ყველას ჩემ ცოლთან ნაცნობობისაგან“. „მოვსპეთ სავარცხლებით ვაჭრობა, რადგანაც ძალიან გამრავლდნენ მელოტი კაცები. ჩვენის გამოანგარიშებით, რამდენიმე წლის შემდეგ თმიანი კაცი აღარსად მოიძებნება. რაც სავარცხლები დაგვრჩა, იმას შეოთხედ ფასად ვყიდით. ვურჩევთ, ვისაც-კი ორიოდე ბალანი შერჩენია თავზედ, დაეშუროს ჩვენს მაღაზიაში იაფად კარგ სავარცხლის სყიდვას, თორემ მალე სხვა მაღაზიებიც ჩვენს მაგალითს მიჰბაძავენ და შემდეგ სავარცხელს ველარსად იშოვის“.

ნემენცური განცხადებანი: „ორს მდიდარ განათლებულ ქალს, ესე 19—20 წლიანებს, ჰსურთ გაიცნონ ორი განათლებული ახალგაზრდა კაცი“. „შუათანა ხნის კაცს, ქონების მხრივ უზრუნველ-ყოფილს, ჰსურს გაიცნოს მარტო-ხელა ქალი ესე 25—30 წლისა და მოელაპარაკოს ქორწინების შესახებ. სასურველია ქალს ცოტა ოდენა შეძლება ჰქონდეს. პასუხი შეიძლებ აქა-და-აქ გაიგზავნოს“.

„ერთს პატიოსანს ქალს აზრადა აქვს მიწერ-მოწერა გამართოს ხნიან, ზრდილობიან კაცთან. ქალაქ გარეთ მცხოვრებნი სასურველნი არ არიან“.

***

ამას წინად ერთი ახალგაზრდა ქალი პარიჟში ომნიბუსით მიემგზავრებოდა თურმე. ერთ ქუჩაზედ ომნიბუსში მშვენივრად გამოწყობილი ყმაწვილი კაცი შესულა და ქალის გვერდზედ დამჯდარა. თითზედ ყმაწვილს ოქროს ძვირფასი ბეჭედი ჰქონია გაკეთებული ბრილიანტის თვალით. როდესაც ქალი ომნიბუსიდგან ჩამოსულა, შეუმჩნევია, რომ ჯიბიდგან ამოუცლიათ ქისა, სადაც 92 ფრანკი იდო თურმე. სამაგიეროდ ჯიბეში ის ძვირფასი, 1,500 ფრანკად ღირებული ბეჭედი უნახავს, რომელიც ყმაწვილს თითზედ ჰქონია გაკეთებული. ამ რიგად ქურდი ის ყმაწვილი კაცი ყოფილა, მაგრამ, როგორც ეტყობა, გაწვრთნა ჰკლებია ქურდობის საქმეში, რადგანაც რაც წაუღია, ათი იმოტელა იქ დაუტოვებია. დანაშაულობისათვის დასჯაც ასეთი უნდა!

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ივნისი

**პეტერბურგი.** დეპეშები იქმნა მიღებული განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად პანაშვიდების გარდახდის შესახებ ბათუმისა, კამენეც-პოდოლსკისა, სიბინსკისა, პენზისა, მოსკოვისა, და ჰელსინფორსიდგან.

**ლონდონი.** დედოფალმა, პრინცმა და პრინცესამ უელსკისამ სამძიმრის დეპეშები გამოუგზავნეს რუსეთის იმპერატორს.

**პარიჟი.** ბარეპერმა სამხედრო მინისტრს და მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს გარდასცა თხოვნა, რომელშიაც აბეზღებს დრეიფუსს და ამბობს, რომ იგი 10 წლის განმავლობაში აცნობებდა ხოლმე სხვა სახელმწიფოებს საბუთის ქაღალდებს, რომელნიც სახელმწიფოს უშიშროებას შეეხებოდნენ.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა მაკკინლეიმ გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს დეპეშა, რომელშიაც თავისის და ამერიკის ხალხის სახელით სამძიმარს უცხადებს.

**პარიჟი.** რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად.

1 ივლისი

**სოფია.** მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო, საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, მთავრისა, მინისტრთა, სადიპლომატო კორპუსისა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა თანადასწრებით. შემდეგ პანაშვიდი გარდახდილ იქმა რუსების ეეკლესიაში.

**ცეტინიე.** მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო, საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, მთავრის სახლობისა და სადიპლომატო კორპუსის თანადასწრებით. მგლოვიარობა გამოცხადებულია ექვსი კვირით.

**ბელგრადი.** დღევანდელ დღიდგან გაზეთებისათვის დადგენილია წინასწარ ცენზურა.

**ლონდონი.** დღეს ბატარეიამ № 73 ბრძანება მიიღო სამხრეთ აფრიკაში წასვლის შესახებ. ყველა ბატარეია, რომლებმაც ასეთი ბრძანება მიიღო, სულ ხუთია. ყუმბარა მანქანებიან ზარბაზნისა ისეთია, რომ რაც ნიშანში მოხვდება, ის იმოქმედებს, როგორც ტყვია „დუმ-დუმ“.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი [illegible] ფურცლები სახელმწიფო [illegible] დ-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 209¼ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 94 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა . | — „ | 102 | |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¾ | — „ | |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 99½ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¼ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 98 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 290 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | 254 | — „ | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უღულითადესს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც კეთილ ინებეს და მონაწილეობა მიიღეს 25 მაისს ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენაში თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ,—სახელდობრ: ქ.ქ. ა. ვ. ღლურჯიძეს, ა. ს. იაშვილს, მ. ი. სირბილაძეს, ქ. გ. სალამონოვისას და ი. ზ. მჭედლოვისას; ბ. კ. ჭელიძეს, ნ. ა. სულხანიშვილს და ი. გ. სიდამონოვს. აგრეთვე ექიმს აბვლედიანს, რომელმაც ფულად შემოსწირა ბიბლიოთეკას ორი მანეთი, ალექსანდრე ადამას ძეს ხალათოვს,—12 ცალი ქართული წიგნები, ღირებული 2 მ., იაგორ ნიკოლას ძეს იაგოროვს ვ ცალი ქართული წიგნი, ღირებული 1 მ. 20 კ. და თავად ე. ნ. ქობულოვს, რომელმაც აღუთქვა ოცი მანეთი.

წარმოდგენიდგან შემოვიდა ბილეთების გაყიდვით 104 მ. 60 კ. აქედგან დაიხარჯა: მარკები 5 მ., 90 კ. თეატრის ქირა 7 მ., საზანდარი 3 მ., აფიშა და ბილეთი 3 მ., პარიკმახერს 2 მ. 50 კ., თეატრის განათება 1 მ., პოლიციელს 1 მ., მოსამსახურეს 1 მ. ხარჯი 24 მ. 40 კ., ნაღდად დარჩა ბიბლიოთეკას 80 მ. 20 კ.

ბიბლიოთეკის გამგე მელქო აჯიმამუდოვი


## განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი:

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

ავტ. ი. ჰ. როსტომაშვილისა. ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და [illegible] ტფილისი, ივანე როსტომაშვილს.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების საცგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავლაბრის ბაზარი.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღონ მსურველთ კურსების საცგომში და [illegible] საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. შ. მანველიანცს, ტფილისი. (24—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ 1-го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.